# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება

№618 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

**„მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის №241 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 07/06/2016, 080240000.10.003.019306) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** დაევალოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, შეიმუშაონ და ერთობლივი ბრძანებით დაამტკიცონ მართლსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით სამოქალაქო ავიაციის სფეროში

კრიზისულ-ექსტრემალური სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმა არა უგვიანეს 2017 წლის 1 აპრილისა.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**